საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს სოფლის მეურნეობა
2020
(წინასწარი მონაცემები მემცენარეობის შესახებ)

16.04.2021

www.geostat.ge

16.04.2021

საქართველოს სოფლის მეურნეობა 2020 წელი

(წინასწარი მონაცემები მემცენარეობის შესახებ)

ერთწლიანი კულტურების წარმოება

წინასწარი მონაცემებით, 2020 წელს ხორბლის წარმოებამ 101.2 ათასი ტონა შეადგინა, რაც 0.6 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. ქერის წარმოება 13.8 პროცენტით შემცირდა და 46.1 ათასი ტონა შეადგინა. სიმინდის წარმოება 263.0 ათასი ტონით განისაზღვრა, რაც 27.0 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე. კარტოფილის წარმოება 10.8 პროცენტით გაიზარდა და 215.7 ათასი ტონა შეადგინა. ამასთან, 2020 წლის განმავლობაში წარმოებულია 180.1 ათასი ტონა ბოსტნეული, რაც 11.8 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია ერთწლიანი კულტურების წარმოება 2016-2020 წლებში.

ხორბლის, ქერისა და სიმინდის წარმოება 2016-2020 წლებში

(ათასი ტონა)



*წინასწარი მონაცემები.

კარტოფილის და ბოსტნეული წარმოება 2016-2020 წლებში
(ათასი ტონა)



*წინასწარი მონაცემები.

2020 წლის წინასწარი მონაცემებით, წინა წელთან შედარებით შემცირებულია ხორბლისა და ქერის საშუალო მოსავლიანობის მაჩვენებლები; გაიზარდა სიმინდის, კარტოფილის და ბოსტნეულის საშუალო მოსავლიანობების მაჩვენებლები. გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ხორბლის საშუალო მოსავლიანობამ 2.2 ტონა/ჰა შეადგინა, ქერის საშუალო მოსავლიანობამ - 1.9 ტონა/ჰა, სიმინდის - 3.1 ტონა/ჰა, კარტოფილის - 13.2 ტონა/ჰა, ბოსტნეულის - 11.3 ტონა/ჰა, აქედან პომიდვრის მოსავლიანობაა 15.2 ტონა/ჰა, კიტრის 13.3 ტონა/ჰა, ხახვის 7.6 ტონა/ჰა, ნივრის 3.1 ტონა/ჰა, თუმცა შემცირებულია კომბოსტოს საშუალო მოსავლიანობა და შეადგენს 26.2 ტონას ერთ ჰექტარზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია ერთწლიანი კულტურების საშუალო მოსავლიანობა 2016-2020 წლებში.

16.04.2021

ხორბლის, ქერისა და სიმინდის საშუალო მოსავლიანობა 2016-2020 წლებში

(ტონა/ჰა)



*წინასწარი მონაცემები.

კარტოფილის და ბოსტნეულის საშუალო მოსავლიანობა 2016-2020 წლებში

(ტონა/ჰა)



*წინასწარი მონაცემები.

16.04.2021

ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობები

წინასწარი მონაცემებით, 2020 წელს ერთწლიანი კულტურების ნათესმა ფართობმა 211.3 ათასი ჰექტარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 4.1 პროცენტით აღემატება. მათ შორის საშემოდგომო მარცვლოვანი კულტურების ნათესი ფართობია 59.5 ათასი ჰექტარი, ხოლო საგაზაფხულო კულტურების ნათესმა ფართობმა 151.9 ათასი ჰექტარი შეადგინა.

ერთწლიანი კულტურების ნათეს ფართობში ყველაზე დიდი წილი სიმინდს უკავია, რომლის ნათესმა ფართობმა 83.7 ათასი ჰექტარი შეადგინა. ხორბლის ნათესი ფართობი 47.1 ათასი ჰექტარი იყო, ქერის - 25.6 ათასი ჰექტარი, კარტოფილის - 16.4 ათასი ჰექტარი, ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების - 13.0 ათასი ჰექტარი, ბოსტნეულის - 12.8 ათასი ჰექტარი, ხოლო დანარჩენი კულტურების ჯამური ნათესი ფართობი 12.7 ათას ჰექტარს შეადგენდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობის სტრუქტურა კულტურების მიხედვით.

ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობების სტრუქტურა,
2020* წელი



*წინასწარი მონაცემები.

16.04.2021

მრავალწლოვანი კულტურების წარმოება

წინასწარი მონაცემებით, 2020 წელს ქვეყანაში წარმოებულია 101.9 ათასი ტონა თესლოვანი ხილი, რაც 93.4 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. საანგარიშო პერიოდში წარმოებულია ასევე 63.2 ათასი ტონა კურკოვანი ხილი (წინა წელთან შედარებით 64.2 პროცენტით მეტი), 40.9 ათასი ტონა კაკლოვანი ხილი (32.4 პროცენტით მეტი), 22.3 ათასი ტონა სუბტროპიკული ხილი (9.9 პროცენტით მეტი), 57.1 ათასი ტონა ციტრუსი (10.8 პროცენტით ნაკლები).

გარდა ზემოთქმულისა აღსანიშნავია, რომ 2020 წელს წარმოებულია 318.9 ათასი ტონა ყურძენი, რაც 8.5 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მრავალწლოვანი კულტურების წარმოება 2016-2020 წლებში.

მრავალწლოვანი კულტურების წარმოება 2016-2020 წლებში

(ათასი ტონა)



*წინასწარი მონაცემები.

16.04.2021

თესლოვანი, კურკოვანი, კაკლოვანი და სუბტროპიკული ხილის წარმოება 2016-2020 წლებში

(ათასი ტონა)



*წინასწარი მონაცემები.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

2020 წლის საბოლოო მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2021 წლის 15 ივნისს.

საკონტაქტო პირები:
გიორგი სანაძე, ტელ: (+995 32) 236 72 10 (500), E-mail: gsanadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge